

საქართველოს მუშაკი



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო.

რედაქტორი: სპ. კედია. წელიწადი მესამე. № 4. აპრილი, 1934 წ.

La Sentinelle de Géorgie

ORGAN DU PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN
Directeur: Sp. KEDIA. 3^e ANNEE. AVRIL 1934. PARIS.

აპრილი

წელიწადზე მეტია, რაც ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ქართველ მკითხველთან ურთიერთობა არა გვექონია. ესე იგი ამ ურთიერთობას კვლავ ვაახლებთ იმ იმედით, რომ მისი მუდმივობა და რეგულიარობა დარღვეული არ იქნება.

ამ ერთი წლის განმავლობაში წარმოიშვა არა ერთი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა. ზოგი მათგანი საზოგადოების ცხოვრების შინაგან გარდაქმნის ახალ ფორმებს იძლევა; ზოგი კიდევ, დედამიწის ზოგიერთ კუთხეში, არსებული „სტატუს-ჟუს“ დარღვევის ნიშნებს ატარებს და ამით შორიდან ქართული საკითხის ბედსაც ეხება. ჩვენ საშუალება არა გვქონდა, რომ ეს მოვლენები, რომელიც ქართველი მკითხველისათვის უდაო ინტერესს წარმოადგენს, თავ-თავის დროზე გაგვეჩინა და დავგვეფასებია. წარსულის ამ ნაკლს მომავალში თანდათან შევავსებთ.

მეორეს მხრით და ამავე დროს, ძალიან ვიწრო ფარგალში, სულ რამოდენიმე ასი კაცის საზოგადოებაში, მოხდა არა ერთი, ამ წრის გარეშე სრულიად შეუმჩნეველი მაგრამ მისთვის კი მეტად საყურადღებო ფაქტი: დღეს ჩვენი მკითხველის ყურადღება სწორედ ამ ფაქტებზე უნდა შეეაჩიროთ. ეს არის ჩვენი აქაური მშობლიური საზოგადოების, ქართული ემიგრაციის ყოფაცხოვრების მოვლენები, რაც ჩვენს თვალში ყოველთვის უმაღლესი რიგის საზრუნავ საგანს წარმოადგენს. მთელი მსოფლიო თავის სიდიადით ჩვენში მხოლოდ პატარა ქართული კარებით შემოდის!

×

ჩვენ არასოდეს იმედი არ დავგიმყარებია იმ გარემოებაზე, რომ ევროპის ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა კანცელარიაში დარჩენილი იყო ჩვენი იურიდიული ცნობის ნაშთი. ჩვენ მოველოდით, რომ იგი ერთ დღეს უსათუოდ სხვერბლი გახდებოდა მისი მასპინძლის რეალური ეროვნული ინტერესის მოთხოვნისა. ეს ჩვენ აუცილებელ ფაქტობაზე მიგვაჩინდა. მოხდა, რაც მოსავალი იყო. საერთაშორისო ურთიერთობის ევოლუციამ საფრანგეთი კვლავ დაუბრუნა პანსლავისტურ პოლიტიკურ კონცეპციას, როგორც ეროვნული თავდაცვის საუკეთესო საწინდარს და პრაქტიკულად შეუღდა რუსეთთან ძველებური ურთიერთობის აღდგენის საქმეს. თვით ეს გეზი უკვე სწყვეტდა საქართველოს ლეგაციის ბედს. მხარეთა შორის გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკება დასრულდა ე. წ. რუსეთ - საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტით, რომლის რატიფიკაციას თან მოჰყვა საქართველოს ლეგაციის გაუქმება, შარშან თებერვალში. ამით დევარგეთ უკანასკნელი თავშესაფარი ჩვენი საერთაშორისო სტატუსისა. ჩვენთვის ფრიად სამწუხაროა, რომ კეთილშობილი საფრანგეთის მიერ ჩვენდამი გამოჩენილი პოლიტიკური სიმპატიები და მასპინძლობა დასრულდა ამგვარი ეპიზოდური პოლიტიკის გამარჯვებით, რომელსაც საქართველოს ლეგაციის გაუქმება უნდა მოეთანა. მაგრამ ეს მოხდა იმ უმაღლესი რიგის მოსაზრებ-

სა და ინტერესის სახელით, რომლის გაგება ჩვენთვის სავალდებულოა და რომლის სუვერენული არბიტრი თვითონ საფრანგეთია. ამიტომ ჩვენ ვერ შევალთ ამ მოვლენის არსებით დაფასებაში, ხოლო მის შედეგს კი ჩვენ დაუმდურებლათ ავიტანთ; მით უმეტეს, რომ ამ საკითხში ჩვენ არასოდეს გულუბრყვილო არ ვყოფილვართ და არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ამგვარი უფლებრივი ნაშთის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ბრძოლის ველზე, უჭკუო პოლიტიკის მიზეზით, დამარცხებული საქართველოს კვლავ ფეხზე დაყენება. ამ ნაშთის არც შენახვა გახდებოდა ჩვენი ეროვნული აღორძინების ფაქტორად და არც მისი დაკარგვა მოგვიჭრის ამ აღორძინების გზებს. მაღე ისტორიის ბრუნვა საქართველოს საკითხს კვლავ მიანიჭებს თავის საერთაშორისო მნიშვნელობას და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ დროს საფრანგეთი მას იმავე ინტერესით და თანაგრძნობით შეხედება, როგორც ეს ამ ახლო წარსულში მოხდა.

×

მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს გულს სულ სხვა რიგის მწუხარება გვიდავავს. ეს ისა, რომ საქართველოს ლეგაციამ ვერ მოახერხა შეექმნა ეროვნული ღირსების სიმკაცრის სკოლა და ბოლომდე მისი სტილის თანახმად ეცხოვრა! ამის გამო მან ხშირად დათუთქა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის გრძობა. ამ სავალდებულო ყოფაქცევის დარღვევა ზოგჯერ ისე შორს წავიდა, რომ თვით უცხო პრესაც კი გამოვიდა მოთმინებიდან და მეტი რიგობისაკენ მოგვიწოდა! თვით ქართველთა მიმართ, ის ხშირად არღვევდა თანაბარი ერთნაირობის პრინციპს და თვალსაჩინო განსხვავება შეჰქონდა თავის მოვალეობის ასრულებისა და საშინაურის გაწევის მხრივ ამა თუ იმ წრის სასარგებლოდ. მისი უბედურება ის იყო, რომ იგი აშკარად განიცდიდა ჟორდანის და მენშევიკების პარტიულ გავლენას და უფრო მათ საქმეთა საგარეო ბიუროს როლს ასრულებდა!

სამწუხაროდ, მისი კურიაკულუმ ვიტეს სიამაყითა და მადლობით შთამომავლობა არ მოიგონებს. მას ისევე უსახელოდ უნდა გაეთავებია თავისი არსებობა, როგორც უსახელოდ გაათავა თავისი დღენი ჟორდანის მთავრობამ!

×

როცა ვაზეთი შეგვიწყდა, ახალ დაწყებული გვექონდა ბრძოლა იმ პოლიტიკურ სისტემასთან, რომელმაც მთელი ჩვენი ეროვნული უბედურება შეამზადა და რომლის სულიერ მამობას დღემდე განაგრძობს ჩვენი გამოხიზნული მთავრობა და მის გარეშე მო დაგროვილი სხვადასხვა ფერის ხალხი. ამ პოლიტიკურ სისტემასთან ერთად, ჩვენ ვამხედდით და ვილაშქრებდით იმ ზნეობრივად ურიგო „პოლიტიკურ“ მეთოდების წინააღმდეგ, რომელიც ამ სისტემასა და მის მიმდევარ ხალხს ახასიათებდა და ქართულს ემიგრაციაში გახრწნასა და დაშლილობას ამკვიდრებდა. სულ სამიოდ ბელტი გადვისროლეთ ამ დაგუბებულ ქაობში და იერიშები ამაზე შეგვიჩერდა. ეს სწორედ საქმარისი აღმოჩნდა, რომ ამ ქაობის მოსა-

ხლეობას უშიშრობის გრძობა დაჰკარგობდა და თავი დასაცავად ქვეყნის გამაყრუებელი აურზაური აეტეხნა. დაიწყეს დაუნდობელი მტრობა იმათ წინააღმდეგ, ვინც გაბედა და მათი მყუდრო და უდარდელი ცხოვრება ააფორიაქა. მაგრამ დროება გამოცვლილი იყო: თავის ქება და სხვისი გაჭირვა ძველებურ რთველს არ იძლეოდა. ამ ხალხის საუბედუროთ, ყოველ მის სიტყვას წინ ხვდებოდა მისივე წარსული ნამოღვაწარის ნივთიერი ფაქტი და იქვე საჯაროდ მკლავდებოდა ნათქვამის მთელი სიყალბე. სიტყვისა და საქმის ამ ტრალიკული დაპირისპირების შეუქმე საზოგადოება გონს მოდიოდა, ძველ შეცდომებს ინანიებდა და თავის მკაცრ განაჩენს ამზადებდა. რომ ჟორდანისა წრე ბედისგან განწირული არ ყოფილიყო, იგი თავის თავს ძალს დაატანდა და ამ მრისხანე სიმპტომებს ანგარიშს გაუწევდა, თავის მანებებელ სიბეჯითეს შეანელებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ეს არც გასაკვირია. ამ ხალხს მომავლის იმედი სამუდამოდ დაკარგული ჰქონდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში გადასული, იგი თავის სიბერის ეგოიზმს და სიხარბეს ემსახურებოდა. მისი შინაური დაშლილობა შორს იყო წასული და თავის ვაკეილშობილების რეაქციას ვეღარ ახერხებდა. თავქვე დაქანებული, იგი აღმართისკენ ვერ შემოტრიალდა და მთელი თავისი მკვდარი სიმძიმით დაქვეითების ინერციას მიეცა. ამ გზამ კი, სულ ერთი წლის განმავლობაში, იგი სიკვდილის უფსკრულში ჩაიყვანა, სადაც მან ერთად დაასაფლავა თავისი საზოგადოებრივი ღირსებაცა და პოლიტიკური კარიერაც.

×

ამ დაღუპვის ვაზე შემდგარ მეთაურობას ბევრი ვადაუღდა და ჩამოშორდა. მართლაც, მასთან დარჩენა თუ არ-დარჩენა უკვე აღარ იყო მართო პოლიტიკის, ან ტაქტიკის საკითხი, არამედ პირადი ღირსების და ზნეობრივი შეგნებისა. და როგორც ამას მოველოდით, ბევრში, ძალიან ბევრში სასწორი სწორედ ამ მომენტმა გადმოსწონა. და დაიწყო რღვევა და დაშლა, მთელი ოცდაათი წლის მონოლიტური სიმტკიცით შედგებულ ქართული მენშევიზმისა. განშორდნენ და ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ ისინი, ვინც ხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი და მეტი წელიწადი ერთად იყვნენ და მუშაობდნენ, ერთ მიზანს ემსახურებოდნენ, ერთი ტაქტიკით მოქმედებდნენ. პირველი რიგის ძველი ლიდერები გამოვიდნენ და მკაცრი მხილება დაუწყეს ჟორდანისა და მის წრეს. — ლ. ახმეტელი, ი. წერეთელი, რ. არსენიძე, ვ. ნოზაძე (მასთან ერთად ძალიან კარგი ახალგაზრდობის მთელი პლეადა), მ. რუსია, შ. აბდუშელიშვილი და სხვანი. საქართველოს ღირსების გაღვიძებისა ქა მისი ეროვნული ინტერესის მხრივ, ეს მოვლენა, სხვა შარშანდელ ემიგრანტულ მოვლენათა შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს ოპოზონტები და მათი მიმდევრები დღეს სამ დამოუკიდებელ შტოთ არიან დანაწილებულნი და თითოეული მათგანი საკუთარი პოზიციიდან თავს ესხმის ჟორდანისა წრის ყოველად უმზავსო საქმიანობას. მათ შორის ყველაზე ენე-

როგიულ ბრძოლას ახალდაზრდობის ოპოზიციის აწარმოებს, ბ-ნ ვ. ნოზაძის მეთაურობით, ყველაზე უფრო ენერგიულს სწორედ იმიტომ, რომ ამ ჯგუფმა დანარჩენებზე უფრო ზედმიწევნით შეითვისა ეროვნული რაობისა და მიზნის შინაარსი და სხვებზე უფრო გაბედულად დაჰკმო და უარპყო დრომოქმული მარქსიზმი.

ეს ამბები რომ მენშევიკთა ბანაკში ხდებოდა, ამის გარეთ და მასთან პარალელურად იგივე პროცესი ფართო ნეიტრალურ წრეებშიაც მიმდინარეობდა. თანდათან მოდუნდა და განქარდა ნდობისა და პარტიის-ცემის ის უკანასკნელი ნასახი, რომელიც ამ წრეებს შერჩენილი ჰქონდა, როგორც ეროვნული მოვალეობის ერთნაირი „ხათრი“ საქართველოს მთავრობის მიმართ.

X

ამგვარად, ასრულდა, რასაც „საქართველოს გუშაგის“ პირველ ნომერში ვწერდით. ჟორდანისა და მისი წრის ბოროტ-მოქმედებას სამუდამოდ ფარდა აეხადა. მას აუჯანყდნენ არა მარტო შორეული წრეები, არამედ მისივე პარტიის გავლენიანი წრეებიც. ეს ხალხი და მისი მოქმედება დღეს საგანია საყოველთაო ძაგებისა და მხილებისა. ამ გარემოებას ჩვენ დიდს კმაყოფილებით აღვნიშნავთ. მთელი ეს ათი წელიწადი მარტო ჩვენ ვიყავით შეურიგებელს ოპოზიციასი ჟორდანისთან და მისი გაერთიანებული ფრონტის მიმართ. მარტო ჩვენ ვამხედდით, ძალაუბრებურათ შეზღუდულ საშუალებათა ფარგლებში, მათ მანებელ პოლიტიკას და სამარცხინო მოქმედებას. სხვები კი ამ დროს მათ ტაშს უკრავდნენ, ვინ — გულუბრყვილობით, ვინ — უცილობით, ვინ — იმ რწმენით, რომ ბელადი ერთ დღეს მაინც გამოსწორდებოდა და ვინ კიდევ — რწმენის წინააღმდეგ, მარტოდენ ნივთიერი ეკვივალენტის სიყვარულით. ყველა ეს ხალხი — თითქმის მთელი ემიგრაცია, — ჩვენზე იყო შემოსეული და ლოტბარის ყოველ ჯოხის დაქნევაზე, ჩვენს ჩასაქოლავად მაღლიდან წამოსულ ინსინუაციებს ბანს აძლევდა და ამკვიდრებდა. დღეს ჩვენი ოპოზიციის ემიგრაციის დიდი ნაწილის ოპოზიციად არის გადაქცეული. სიმართლემ თავისი გაიტანა. ვინც დამოუკიდებელია და პარტიოსანი, ვინც პარტიოტია და პოლიტიკაში ანგარებას არ დაეძებს, ყველა თავს იყრის ოპოზიციასი. რაც დღემდე მარტო ჩვენი ჯგუფის ხაზი იყო, იმან დღეს საყოველთაო ქართული ხასიათი მიიღო და ამ მოვლენის დიდი მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობს. ეს ეპოქალური გარდატეხის განთიადია. ამის აუცილებელი დასკვნა ის იქნება, რომ ქართულ პოლიტიკაში საღი ეროვნული აზროვნება გაბატონდება და ქართველ ხალხში კიდევ პროვოკაციული პოლიტიკის წარმოებას სამუდამოდ ბოლო მოეღება. ამ პროცესს ვერავითარი ძალა ვერ შეაყენებს. ვინაიდან პოზიციისა, რომელიც ამ მოძრაობის ჩაკვლით არის დაინტერესებული, — ე. ი. ჟორდანია და მისი საერთო ფრონტი — ამ სიტყვის ცოცხალი მნიშვნელობით, უკვე აღარ არსებობს. მისი მორალური და პოლიტიკური კრედიტი საბოლოოდ დამარხულია, მისი იდეური შინაარსი ამომშრა-

ლია. ხოლო მისი ჯერ კიდევ არსებული ორგანიზაციული გარეგნობა, მას რომ სიცოცხლის ფერს უნახავს, ეს არის, უბრალოდ რომ ვსთქვათ, ურთიერთის გამოკვეთის მიზნით, ფულის ბარათის მისაღებად გამოკიდული ფოსტის ყუთია და სხვა არაფერი... ეს კვების წყაროც დაიწრება და უორდნის ფრონტის სახელიც სამუდამო დაიწყებას მიეცემა.

სხვაგვარად, დღეს გატეხილია ის ძალა, რომელსაც ჩვენ ქართული პოლიტიკური რენესანსის შინაგანი დაბრკოლება ვუწოდებთ და რომლის დამარცხების აუცილებელი

საჭიროება „საქ. გუზაგის“ პირველსავე ნომერში აღვნიშნეთ. ასეთია, ემიგრაციის ფარგლებში, გასული წლის ცხოვრების ჯამი.

ეხლა ჩვენ წინ სდგას მეორე საკითხი — ეს არის ქართული ნაციონალიზმის ცხოვრებაში გატარება მთელი მისი შემოქმედით ინტენსიურობით. ამისთვის წინასწარ საჭიროა ქართულ პატრიოტულ ძალთა თავმოყრა და ეროვნული ბრძოლისათვის ღირსეული მეთაურობის შექმნა. „საქართველოს გუზაგი“ მთლიანად ამ მიზნების განხორციელებას მიეცემა.

მოხალისე (*)
(ცოდნისათვის)

გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველო“-ში მოთავსებულია მოხალისეს წერილი „მხედარ“-ში დაბეჭდილ გენერალ ჩხეიძის მოგონებების შესახებ. ამისთანა დემავოგიურ, სიმართლეს მოკლებულ და უსაბუთო წერილზე არა ღირს პასუხის გაცემა, მაგრამ აქ სამხედრო სკოლა და გენ. ჩხეიძეა შელახული და მე, როგორც მათი ყოფილი უფროსი, ვერ ვაგწმამდები.

გენ. ჩხეიძე თავის მოგონებებში მოგვითხრობს მხოლოდ სამხედრო სკოლის ბრძოლების ამბავს, რაც მის თვალწინ მოხდა და რასაკვირველია, იძულებულია თავის თავზედაც ილაპარაკოს, რადგანაც იგი ამ ბრძოლებში სამხედრო სკოლის უფროსი იყო. გენ. ჩხეიძე ძალიან თავდაჭერილად ლაპარაკობს თავის თავზე, ბატონო მოხალისე! როდის აქვებს თავის თავს, ან სად უთქვამს ამ გენერალს, რომ გარდა იმისა და გენერალ კვინიტაძისა ყველა წყალში გადასაყრელია. ამისთანა დასკვნა მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ გამოგეტანათ და ამიტომ

ეს წერილი რედაქციამ თავის დროზე მიიღო, მაგრამ მაშინ, გაზეთის შეჩერების გამო, ვერ დაბეჭდა. დღეს, მიუხედავად დიდი დაგვიანებისა, ამ წერილს მაინც ვაწვდით მკითხველის ყურადღებას, რადგან მისი მნიშვნელობა, ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებით, დარჩა ის, რაც პირველ დღეს იყო.

რედაქცია

მაც ფარდას ამოეფარეთ და წერილს თქვენი სახელი და გვარი ვერ მოაწერეთ.

ეხლა გენ. ანდრონიკაშვილზე. თქვენ აცხადებთ, რომ გ. ჩხეიძემ გამოიჩინა „უღიერება“ განსვენებულის, გენ. ანდრონიკაშვილის მიმართ. ალბად არ იცით, ჩემო ბატონო, რომ გენ. ანდრონიკაშვილი და გ. ჩხეიძე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენზე მეტად მისი პატივისცემელი იყო ყოველთვის და არის იგი დღესაც. მხოლოდ მათ შორის დამყარებულმა მეგობრობამ მისცა ერთ მათგანს ნება-უფლება მოეხსენებინა უფროსისათვის თავისი მოსაზრებანი დახვედის შესახებ და მეორეს — უფროსს — მოესმინა ხელქვეითის მოხსენება და აესრულებინა რჩევანი.

ბრძოლის ველზე ეს ხშირად ხდება; სწორედ იმ ჯარში, სადაც დამყარებულია ნამდვილი, სწორი ურთიერთობა უფროს-უმცროსთა შორის, ამისთანა განწყობილება შეადგენს ერთ-ერთ პირობას გამარჯვებისათვის.

თქვენ მოგყავთ მაგალითები, როგორც ამბობთ, „ისტორიიდან“. ჩემთვის ეს „ისტორია“ ძალიან საეჭვოა და ძალიანაც მოკლებული სიმართლეს. თქვენ ადასტურებთ რომ სოღანლულის ფრონტის შემადგენლობის უმრავლესობას გვარდია შეადგენდა. იმ პირველ დამეს, როდესაც ბოლშევიკებმა ტფილისზე იერიში მოიტანეს და ჩვენ, როგორც თქვენ ამბობთ, ხელში 1500

კაცი ჩავიგდეთ, სოღანლულის ფრონტს შემდეგი ნაწილები შეადგენდნენ: სანაპირო ათასეული (ჯარი), საყარაულო ათასეული (ჯარი), მე-9 და 1-ლი ათასეული (ჯარი) და გორის გვარდიის ორი ათასეული, რაც შეეხება არტილერიას, ის მთლად იყო ჯარისა. როგორც ხედავთ, უმრავლესობა იყო ჯარი და არა გვარდია.

ამას უნდა ისიც დაეუმატოთ, რომ გვარდიის ერთს ათასეულს ეჭირა მოწინავე სიმაგრეები და მტრის იერიშის დაწყებისთანავე საერთო პოზიციის უკან ისეთი სისწრაფით დაიხია, რომ სოღანლულის უბნის უფროსი მაზნიაშვილი კინაღამ მტერს ხელში არ ჩაუვარდა. მისი შტაბის უფროსი კი, მაიორი უთენელიშვილი, ამას ვერ ასცდა და ბოლშევიკების ტყვე გახდა. მთელი დღე დილაზე მეტად უმკლავდებოდა. მტერს 4 ჯარისა და ერთი გვარდიის ათასეული. დილით კი, გათენებისას, ამ უბანმა გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის თანშველით მტერს იარაღი დააყრევინა.

ახლა თქვენი მეორე მაგალითი: სამხედრო სკოლაზე თავდასხმა. თანახმად თქვენი „ისტორიისა“, თქვენ ადასტურებთ, რომ ბოლშევიკები სამხედრო სკოლას თავს იმიტომ დაესხნენ, რომ იქ წინასწარ თადარიგი არ იყო დაჭერილი და რომ სხვა ნაწილების მიმართ ვერ გაბედეს, რადგანაც იქ ეს თადარიგი დაცული იყო. თქვენი ნაამბობიდან აშკარად სჩანს, რომ ბოლშევიკების გეგმა იყო ასეთი — ჯერ სუსტად მომზადებულ სამხედრო სკოლას (ერთ ათასეულს) დასცემოდნენ, მერმე კი, როდესაც ამ სკოლაზე თავდასხმის გამო მთელი ტფილისის მეციხოვნე ჯარი ფეხზე დადგებოდა, მაშინ მას ეკვეთებოდნენ. ეს ძალიან საეჭვოა და ამისთანა სამხედრო ხერხი უთუოდ ნაყოფი არის თქვენ მიერ შექმნილი „სამხედრო მეცნიერებისა“!

თუ მოკლედ, თუ როგორ მოხდა თავდასხმა სამხედრო სკოლაზე.

ბოლშევიკები სკოლას თავს დაესხნენ დიდ მთავრის ქუჩიდან, სწორედ იქიდან, სადაც შენობები გვარდიის ხელში იყო. ამ შენობებთან და საწყობებთან იდგნენ ყარაული და გუზაგები მხოლოდ გვარდიისა; ბოლშევიკებმა გადმოლახეს კედლის ზღუდე და ყველა მათ იარაღი დააყრევინეს; წარმოიდგინეთ, ეს მოხდა თოფის გაუსრო-

ლებლად, მხოლოდ ამის წყალობით მტერი სკოლასაც უეცრად თავს დაესხა. შემდეგი თქვენი მაგალითი, ეს არის არსენალის აღება და საერთოდ გვარდიის მნიშვნელობა ბოლშევიკების და გაბოლშევიკებული ხალხის ალაგმვაში. მე მეგონა, რომ 10-12 წლის შემდეგ მაინც გვარდიის მნიშვნელობა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს ყველას საქმოდ აწონილი ექნებოდა და რომ ეს მნიშვნელობა მაინც და მაინც საწინააღმდეგო არ იყო იმათ თვალში, ვინც არაა გატაცებული მხოლოდ და მხოლოდ თავის პარტიის სულის კვეთებით.

1917 წ. ეგრედ წოდებული წითელ გვარდიის შემადგენლობა უდრიდა 150 - 200-ს კაცს და მის მიერ ალაგმვა, როგორც თქვენ ამბობთ, ტფილისის 35,000 მეციხოვნე ბოლშევიკებისა, გარდა ფრონტიდან მომავალი ჯარისა, წარმოადგენს გვარდიით თქვენი ალტაცების ნაყოფს. სჩანს არ იცით ეს ამბები ისევე, როგორც არ იცით არსენალის აღების ამბავი. არსენალი აღებული იყო დეკემბრის 12-ს, 1917 წ. ქართული ცხენოსანი და მე-5 ქართული პოლკის ნაწილებით, სხვათა შორის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ჩახავას და ელიზბარ შერვაშიძის მეთაურობით. წითელმა გვარდიამაც მიიღო ამაში მონაწილეობა და მხოლოდ მონაწილეობა.

აქ უნდა დავუმატოთ, რომ არსენალის აღებისას არც ერთი კაციც არ იყო მოკლული და დაჭრილი.

ახლა თქვენი მოსაზრებანი 1920 წლის ომის შესახებ. თქვენი „ისტორია“ აქაც გვერდს უხვევს სიმართლეს, რადგან არც ერთი ჯარისკაცი არ ყოფილა გაგზავნილი ჩვენ მიერ ადერბეიჯანელების საშველად და ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ, როგორც ამას თქვენ ადასტურებთ.

გარდა ამისა, თქვენს „ისტორიაში“ თქვენ თავს ეწინააღმდეგებით; თქვენ ამბობთ: — „ადერბეიჯანის პარლამენტმა გადასცა ბოლშევიკებს ძალაუფლება“-ო. მაშ, ბატონო ჩემო, ჩვენი შველა რალად უნდოდათ ადერბეიჯანელებს!

ახლა 1921 წ. თებერვლის 24-ის მდგომარეობაზე. რაკი ამას შეეხეთ, უნდა დაგესურათებინათ, სად და როგორ იყო დალაგებული მოწინააღმდეგის ძალები, მათი შემადგენლობა და რაოდენობა, აგეწერათ

ბამყრელიძის წმინდა (*)
იხილეთ „პოსლედნია ნოვოსტი“

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ: — წერილი, რომელიც ჯერ-ჯერობით ატარებს ბამყრელიძის სახელს, არ არის დაწერილი მის მიერ. ბამყრელიძემ რუსული ენა ძალიან ცუდად იცის, იმდენად ცუდად,

*) ბამყრელიძის ცნობილმა პროვოკაციამ ქართველ საზოგადოებაში თავის დროზე დიდი აღშფოთება გამოიწვია. სიმართლის გამოსაძიებლად კოლონიის საზოგადო კრებამ შარშან აპრილში საგანგებო კომისია აირჩია. კომისიებამ მთელი შვიდი თვე გასტანა. დაგროვილი მასალიდან სჩანს, რომ ბამყრელიძე, ამ შემთხვევაში, ემიგრაციის მაღალ სფეროების დავალებას ასრულებდა და უშუალოდ მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდა. კომისიის მოხსენება და დასკვნები, უკვე ამ ექვსი თვის წინად გამზადებული, დღესაც ამაოდ უტდის კოლონიის საზოგადო კრებას! ბევრია იმაში დაინტერესებული, რომ ბამყრელიძის შედეგი სიჩუმეში ჩაკვდეს. მეორეს მხრით, ემიგრანტულ პრესას, რომელიც თითქმის მთლიანად სწორედ ამ დაინტერესებულ წრეებს ეკუთვნის, ამ საგანზე მთელი ეს დრო კრინტიც არ დაუძრავს!

ჩვენი რედაქცია ყოველ დღეს იღონებს, რომ ქართველ საზოგადოებას ამ საქმის შესახებ, თავიდან ბოლომდე, სრული სიმართლე მოხსენდეს. ამ მიზნით დღეს იბეჭდება ჩვენი თანამშრომლის ეს პირველი წერილი.

რედაქცია

რომ ამ ენაზე მას არ შეუძლია ორი წინადადება ერთი მეორეს გადაბას. ასე ფიქრობს ყველა, ვინც კი მას იცნობს, იცნობენ კი მას მრავალნი. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე გამოიკვება წერილის ნამდვილი ავტორი, რამეთუ „არა არს ფარული, რომელი არ გამოცხადდეს“, და მაშინ მის ნაწარმოებს დაერქმევა ახალი სახელი, ბამყრელიძე სამართლიანად დაიკავებს მეორე ადგილს, ხოლო პირველს კი ის, ვინც ამ ვაჟბატონის სახელი იხმარა თავის პირისახის დასამალ ბადეთ.

წერილის გამოქვეყნებას წინ შემადრწუნებელი ხმები უძღოდა, რამაც ასე დიდად ალაშფოთა მთელი ქართველობა. ჩვენ არ გვინდა ამ ხმებს აქ დაწვრილებით შევეხოთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ორიოდ გარემოებას.

ამბობდნენ, რომ ბამყრელიძე უკვე იყო ბოლშევიკების აგენტი, როდესაც ე. წ. „საერთო ფრონტის“ მშვერავებმა „გამოიჭირეს“ და გამომქლავების დამუქრებით აიძულეს გამხდარიყო მათი აგენტი. მაგრამ ამბობდნენ იმასაც, თითქო იმავე მშვერავებმა „შეუგზავნეს“ თავისი აგენტი ბამყრელიძე ბოლშევიკებსაო. შემდეგ ნაწილში ხმები უკვე შეთანხმებულად მოგვითხრობდნენ: ბამყრელიძემ „იყოჩაღა“, — „ასე უბრალოდ კი ნუ უყურებთ ბატონებო“-ო, ერთი რომ ხელში ჩაიგდო ბოლშევიკების ემიგრანტთა შორის მყოფი აგენტების სია და მეორე — „დააძრო“ მათ ფული, 80 ათასი ფრანკი, რომელთაგან 20 ათასი თვითონ დახარჯა, „წაიჭიეთა“-ო, და 60 ათასი კი გადასცა ემიგრაციის კონტრა-ვერვა-

საო. ამ 80 ათასი ფრანკის ამბავი თვით ბამყრელიძეს აქვს მრავალგან და მრავალჯერ მოთხრობილი სწორედ ასე. „გამომქლავებული აგენტების“ ვინაობასაც ახდელიად ასახელებდნენ. მალე მათი სიებიც თავაზიანად ფურცლებზე ჩამოწერილი, აქა-იქ გამოჩნდნენ.

ამ ხმებში დამაფიქრებელი იყო მრავალი რამ, მაგ., რის მიხედვით, რა საფუძველი იყვნენ „ფრონტის“ მშვერავები დარწმუნებულნი, რომ ორმაგი აგენტი ბამყრელიძე ემსახურებოდა მათ და ატყუილებდა ბოლშევიკებს და არა წინააღმდეგ, — ემსახურებოდა ბოლშევიკებს და ატყუებდა მათ. ბოლშევიკები ხომ ფულიანი ხალხია და განა ისეთი მორალის ადამიანისათვის, როგორისაც ბამყრელიძეა, ფული არ არის მთავარი არგუმენტი?

შემდეგ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სადმე არსებობდეს ისეთი მშვერავი ორგანო, სადაც ერთ აგენტს შეეძლოს ხელში ჩაიგდოს აგენტთა საერთო სია. კიდევ მეტი, ყველგან მიღებულია ისეთი წესი, რომელიც შეუძლებლად ხდის, რომ ერთმა აგენტმა გაიგოს მეორეს ვინაობა.

„გამომქლავებულითა“ რიცხვი ადიოდა 15 კაცამდე. და აი რა არის გასაოცარი: — ყოველი მათგანი ეკუთვნის ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელიც ოპოზიციონურად არის განწყობილი „საერთო ფრონტისადმი“. ნუ თუ ბოლშევიკებს დასჭირდათ ამოდენა ხალხი მხოლოდ ოპოზიციისაში? და როგორ მოხდა, რომ „პოზიციის“ აგენტმა ბამყრელიძემ გამოარკვია ბოლშევიკების მრავალი აგენტი, რომელთაგან ყველა გამოდგა მხო-

ლოდ ოპოზიციის წევრი? ამ კითხვების გარდა შეგვიძლია დავსვათ კიდევ მრავალი, მაგრამ ეს ზედმეტად მიგვაჩნია.

ხმებმა გამოიწვია აღშფოთება, არევიდა ქართულ კოლონიაში. და აქ დავინახეთ შემდეგი მოვლენა: — რაც მეტად იზრდებოდა საზოგადოებრივი აღშფოთება, მით უფრო რალაც უხილავი ძალები ანელებდნენ მითქმა-მოთქმას და აპატარავებდნენ „გამომქლავებულთა“ სიას. ბოლოსა და ბოლოს მთელი ეს ამბავი დაწდა-დალაგდა. 80 ათასი ვაჭკრა, მთავარი მოქმედი პირის როლი მშვერავებმა გადაულოცეს ბამყრელიძეს და შეუდგენ თავიანთი მონაწილეობის მნიშვნელობის შემცირებას. შემდეგ ამისა „გამომქლავებულთა“ სია სწრაფად შემოკლდა ორ კაცამდე, რომელთაც ბამყრელიძემ კატეგორიულად დაადო ხელი. ესენი გახლდნენ ბ. ბ. ელიავა და გ. გეგელია. მაგრამ გაიარა კიდევ რამოდენიმე დღე და ბამყრელიძემ აღიარა: — ვცდებოდი, ბ. ელიავა ჯაშუში კი არა, პატროსანზე პატროსანი ადამიანი არისო და მისცა კიდევაც მას ცისფერ ქალღმრთელსაკუთარი ხელით დაწერილი სათანადო ფირმანი. ამის შემდეგ ბ. ელიავამ განიცადა ახალი მეტამორფოზა: — ის გადაიქცა სიავის მთრგუნველ კეთილ სულად და გაუმართა ჩხუბი არა ბამყრელიძეს, რაც გასაგები იქნებოდა, არამედ გეგელიას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩხუბი იყო ის ფასი, რომელიც ბამყრელიძემ და მისმა ანტერგენერებმა მოსთხოვეს მას ფირმანის სამაგიეროდ.



ადგილ-მდებარეობა; მერმე აგეწონათ, და-
გეფასებინათ ყველაფერი და შემდეგ დას-
კვნა გამოგეტანათ. თქვენ კი პირდაპირ,
უსაბუთოდ ბრალს სდებთ მთავარსარდალს
იმაში, რომ მას არც კი მოუსმენია საბრძო-
ლო უბნების უფროსები, თვითონ წარმო-
უდგენია ტფილისის გარემორტყმა, —
უთუოდ სიზმარში უნახავს — და „პანი-
კით“ შეპყრობილს ტფილისი დაუტოვებია.
ყოჩაღ, ბატონო მოხალისე! დიდი სამ-
ხედრო კრიტიკოსი ბრძანდებით!
როგორ მოხდა ტფილისის დატოვება,
ამას აქ, თქვენთან პოლემიკაში არ შევე-

ხები.
დარწმუნებული ვარ, ვერ დაგაჯერეთ,
და ეს მე არც მინდოდა. თუ ხმა ამოვიღე,
ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დამეცვა თქვენი
ჭორისაგან სპეტაკი სკოლა და სპეტაკი გე-
ნერალი. ვიცი კარგად, რომ თქვენ კიდევ
დასწერთ, რომ თქვენი წერილი ისევ დემა-
გოგიური, უსაბუთო და სიმართლეს მოკლე-
ბული იქნება. ამიტომ წინდაწინვე მოგა-
ხსენებთ, რომ მე აღარ გიპასუხებთ რაც არ
უნდა დასწეროთ. ამისათვის არც დრო მაქვს
და არც ხალისი.

გ. კვინიტაძე.

პარტიული „ოფისის“ ბარშემო

ცნობილია თუ რა პირობებში წარმოიშვა
ქართული „ოფისის“ საკითხი.
საფრანგეთ რუსეთის პაქტის რატიფიკა-
ციამ, შარშან თებერვალში, თან საქართვე-
ლოს ლეგაციის გაუქმება გამოიწვია. ამის
ფორმულა ასე გამოსთქვეს პარლამენტის
სხდომაზე სწორედ იმ სოციალისტ დეპუ-
ტატებმა, რომლებიც სხვა დროს საქართვე-
ლოს საკითხის ქირისუფლად გამოდიოდნენ
იმავე პარლამენტის წინაშე: —

დეპუტატი მარიუს მუტე: ... „12 წელია,
რაც საქართველოს სახელმწიფოს სუვერე-
ნობა ფაქტურად აღარ არსებობს. აქედან
გამომდინარეობს ზოგიერთი შედეგი საერ-
თაშორისო უფლებრივი ხასიათისა, რაც
უსათუოდ, ცხადია, ხელს უშლის იმას, რომ
გამუდმებულ არსებობდეს ოფიციალურა
ლეგაცია, რომელიც წარმოადგენს უკვე
აღარ არსებულ მთავრობას“-ო...

დეპუტატი პიერ რენოდელი: ... „ვიცო
და ეს არ დამიმაღლავს ჩემი ქართველი მე-
გობრებისათვის, რომ მას შემდეგ, რაც 12
წელმა განვლო, ძნელი წარმოსადგენია,
რომ დაუსრულებლად და მუდმივად მივი-
ჩნიოთ იმ მთავრობის არსებობა, რომელსაც
ამა თუ იმ მიზეზის გამო, თავისი ქვეყანა
დაუტოვებია“-ო...

აქ ყველაფერი ცხადია იყო ნათქვამი —
არც საქართველოს მთავრობა და არც სა-
ქართველოს ლეგაცია, ე. ი. საქართველოს
წარმომადგენლობა, როგორც ერისა და სა-
ხელმწიფოს სიმბოლო, საფრანგეთის მთავ-
რობისათვის აღარ არსებობს.
დარჩა, როგორც საფრანგეთის ტერიტო-

რიაზე მცხოვრები რეალობა, მხოლოდ და
მარტო ქართველი ემიგრაცია და მისი სტა-
ტუსის მოგვარების საკითხი. ქართველი ემი-
გრაცია ცნობილ იქმნა როგორც მორალუ-
რი პიროვნება და მას ოფისის მოწყობის
უფლება მიენიჭა. ამის წყალობით ქართ-
ველ ემიგრაციას, ლეგაციის გაუქმების შე-
დეგ, საშუალება ეძლეოდა რომ ჰქონოდა
საკუთარი ეროვნული სახის მფარველი და
ქომაგი ორგანიზაცია საფრანგეთის ხელის
უფლების წინაშე. ეს იყო მაქსიმუმი, რაც
ამ ახალ პირობებში შეიძლებოდა.

ამგვარად, ოფისი თავის დანიშნულებით
ემიგრაციის ორგანოა. ქართველი ემიგრა-
ციის ვინაობის დამოწმება, მისთვის შუა-
მავლობა და მფარველობის გაწევა სხვა
და სხვა შემთხვევაში ხელისუფლებათა წი-
ნაშე — აი ფარგალი მისი მოქმედებისა და
უფლების.

ოფისის მოწყობა, მისი შენახვა და მისი
შემდგომი ხელისუფალ ორგანოს შექმნა,
ყველაფერი ეს უშუალოდ, მხოლოდ და მა-
რტო ემიგრაციის ეკითხება. ეს მისი უფლე-
ბა და კომპეტენციაა.

ფაქტურად, როდესაც საქ. ლეგაცია გა-
უქმდა, მისი მოსამსახურე პერსონალი, ელ-
ჩის გამოკლებით, ოფისის პერსონალის რო-
ლში გადაირიცხა ყოფილი მთავრობის და
გაუქმებული ლეგაციის კერძო თაოსნობით
და ეს საგარეო საქმეთა სამინისტროში იქნა
განცხადებული, აშკარა იყო, რომ ვერც
ყოფილი მთავრობა და ვერც გაუქმებული
ლეგაცია ოფისის თავისად ვერ მიიჩნევდა
და მას თავის ხელქვეით ორგანოდ ვერ ჩა-

სთვლიდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მათ
არაფერი იღონეს, რომ ამ ოფისის თავისი
კანონიერი პატრონი გასჩენოდა. ისინი და-
კმაყოფილდნენ იმით, რომ ფაქტურათ
ფლობდნენ ამ ახალ დაწესებულებას და
მის არა ლეგალურ ხასიათს ყურადღებას
აღარ აქცევდნენ. ბოლოს თვით ქართული
კოლონია ჩაერია საქმეში. მან ეს საკითხი
გასულ ნოემბერს თავის კრების კლდურ
წესრიგში შეიტანა. კამათი მაშინ იმით და-
სრულდა, რომ არჩეულ იქმნა საოფისო კო-
მისია ამ საკითხის შესასწავლად.

კოლონიის უკანასკნელ კრებაზე აპრი-
ლის 15-ს ხსენებულმა კომისიამ ამ საგანზე
თავისი მოხსენება წარმოადგინა. მოყვანი-
ლი იყო საზოგადოთ ამგვარი ოფისების წა-
რმოშობის და ორგანიზაციის ისტორია და
ხაზგასმული შათი წმინდა ემიგრანტული
დანიშნულება. იმ რეგლამენტის პროექტის
თანახმად, რომელიც საფუძვლად უნდა და-
დებოდა ოფ.-ს ხელისუფ. ორგანოს და რომ-
ლის დამუშავებაც საზოგადოებისაგან ქო-
ნდა დავალებული, კომისია წინადადებას
იძლეოდა, რომ ემიგრაციას აერჩია შეიდი
წევრისაგან შემდგარი „ემიგრაციის საბ-
ჭო“. რომელიც იქნებოდა ოფისის გამგე
და მისი ხელისუფალი.

უნდა გვეფიქრა, რომ ეს მარტივი და
ცხადი საქმე არავითარ დაჯახებას არ გა-
მოიწვევდა და კოლონიის კრება ერთხმად
აირჩევდა, ერთნაირი წინასწარი შეთანხმე-
ბის წესით, ოფისის ხელისუფალ ორგანოს,
რომლის შემადგენლობა ყველასათვის და-
მაკმაყოფილებელი იქნებოდა.

მაგრამ მოულოდნელად, მეორე თეზა იქ-
ნა წამოყენებული. ამ თეზის თანახმად, ემი-
გრაციის უფლება არა აქვს აირჩიოს ასე-
თი რამ ორგანო! ეს თეზა იყო წამოყენე-
ბული მენშევიკების ლიდერების მიერ, ბ-
ნე-ს ორგანიზაციის „ეროვნულ ცენტრის“ სახელით!
„ოფისი“ თურმე მათი საკუთრება ყოფი-
ლა! მენშევიკების ლიდერებმა განაცხადეს,
რომ თვითონ ნიშნავენ ოფისის ხელისუფა-
ლი ორგანოს წევრებს, მათ უმრავლესობას,
ხოლო დარჩენილი უმცირესობის გამოგზა-
ვნის უფლებას მარტო კოლონიის გამგეო-
ბას ანიჭებენ!! „ფული ჩვენ ვიშოვეთ, ოფი-
სიც ჩვენ შევქენით“ და ბატონობაც ჩვე-
ნი უნდა იყოს! ეს ყველაფერი თქვა უსი-

რცხვილოდ, გაუწითლებლივ და დიდის აბ-
ლომბით!
ეს არის ნამდვილი პროვოკაციული თე-
ზა და უდიდესი შეურაცყოფა ქართული
პოლიტიკური ემიგრაციისა. იგი არსებითად
და მორალურად მიუღებელია. თეზის ავ-
ტორებმა ეს ძალიან კარგად იციან. სჩანს,
შეგნებულად ჰქმნიან ახალ განხეთქილებას.
ეტყობა, ეს მათთვის პირადად უფრო სა-
სარგებლო საქმეა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართ-
ველი ემიგრაცია ასეთ შეურაცყოფის უფ-
ლებას არავის მისცემს. ის ან აირჩევს თა-
ვის საოფისო საბჭოს და თვით განდება
ოფისის სრული ბატონ-პატრონი, ან სულ
უარს იტყვის ისეთ ოფისზე, რომელსაც
„განგსტერული“ წესით ხელს დაადებს ჟო-
რდანი და მისი „ცენტრი“.

ეს ოფისი საფრანგეთის მთავრობამ მი-
სცა ქართულ ემიგრაციას, როგორც ასეთს,
და არა ყოფილ მთავრობას, არა გაუქმე-
ბულ ლეგაციას და არც მით უმეტეს რომე-
ლიმ პოლიტიკურ დაჯგუფებას.

პარტიული პრესა

ქართულ ემიგრანტულ პრესას წელს ორი
ახალი გამოცემა შეემატა: — საპოლიტიკო
კრებული „ორნატი“ (№1 და 2 და გაზეთი
„მომავალი“ №1 და 2).

პირველია იმ სოც. დემოკრატიული ოპო-
ზიციის ორგანო, რომელსაც ბ-ნი ვ. ნოზაძე
მეთაურობს. მეორეა პატრიოტული ორგა-
ნიზაცია — „თერთი გიორგის“ იმ ნაწილის
ორგანო, რომელმაც უარჰყო ბ. ლ. კერესე-
ლიძის მეთაურობა და რომელსაც ბ. ა. მან-
ველიშვილი ხელმძღვანელობს.

კრებული „ორნატი“ საუკეთესო ნიმუ-
შია იმ ღრმა გარდატეხისა, რომელიც მოხ-
და ქართველის სულში ამ უკანასკნელი ათი
-ხუთმეტი წლის ქარიშხლიანი ცხოვრების
შეგავლენით. ამ კრებულში თავიდან ბოლო
მდის გონების სისწორითა და გრძნობის სი-
მდიდრით დადასტურებულია ეროვნული
იდეის ბრწყინვალე გამარჯვება იმ „ქარ-
თულ“ მარქსიზმზე, რომლის მსხვერპლი
დიდი ხანს იყვნენ თვით წერილების ავტო-
რები და რომელმაც ყველას ერთად დაგვი-
ლუბა ძვირფასი სამშობლო!..

გაზ. „მომავალი“ გვაცნობს, თუ რა მი-
ზეზებმა, გამოიწვიეს „თერთი გიორგის“
გამოჩნდებოდა.

ამ ამბების შემდეგ დაიბეჭდა წერილი
და გამყრელიძე, მისი ფორმალური ავტო-
რი, დაუყოვნებლივ გაიქცა ბერლინში.

გადავიდეთ წერილზე.
წერილს დართული აქვს წინასიტყვაობა
გაზეთ „პოსლედნია ნოვოსტის“ რედაქცი-
ის მიერ ხელმოწერილი, საიდანაც ურყევე-
ლად გამომდინარეობს ორი დებულება: —

1. რომ ბ. გეგელია არის ბოლშევიკების
აგენტი და სხვა აგენტებთან ერთად ეწევა
ქართულ პოლიტიკურ წრეებში პროვოკა-
ციულ მუშაობას, და

2. რომ ბოლშევიკების პროვოკაციული
მუშაობა გამოაშკარავა ბ. გამყრელიძემ,
ორმაგმა აგენტმა, რომელმაც „ქართული
პოლიტიკური ორგანიზაციის თანხმობით“
კავშირი გააბა გ.პ.უ-ს აგენტებთან და „თა-
ვისი რეგულიარული ინფორმაციით გ.პ.უს
მოქმედებისა და პლანების შესახებ სამ-
სახური გაუწია ქართულ ეროვნულ საქ-
მეს“. ეს უკანასკნელი სიტყვები ჩასმულია
ბრწყალეზში თვით წინასიტყვაობაში და
მაშასადამე ეკუთვნის რედაქციის გარეშე
მყოფ წყაროს.

თავის თავად ცხადია, რომ ორივე დებუ-
ლება მეტად სერიოზულია, განსაკუთრე-
ბით პირველი. აგრეთვე ყოველივე ექვს გა-
რეშეა, რომ „პოსლედნია ნოვოსტის“ რე-
დაქცია, კარგად გამოცდილი და საკმარისად
ფრთხილი თავის მოქმედებაში, ვერ დაბეჭ-
დავდა თავისი პასუხისმგებლობით არც ერთ
მათგანს ისე, რომ მას არ გამოერკვია მათი
წონა და ღირსება და თავისი თავი პასუხის-
მგებლობისაგან არ დაეზღვია. მისთვის უსა-
თუოდ საჭირო იყო მიეღო ავტორის, ე. ი.

გამყრელიძის შესახებ კეთილი ცნობები და
გამოერკვია წერილში მოთავსებულ ამბების
სიმართლე. ამასთანავე ის, ვისაც რედაქცია
საჭირო ცნობების მისაღებად მიმართავდა,
უნდა ყოფილიყო აღჭურვილი მის თვალში
საკმაო ავტორიტეტით. მაშ ვინ უნდა ყო-
ფილიყო ეს?

ამ კითხვაზე საერთო ფორმით გამოთქ-
მული პასუხი მოთავსებულია თვით წინა-
სიტყვაობაში. იქ ნახსენებია „ქართ. პოლ.
პარტიათა გაერთიანებული ცენტრი“ და
„ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია“,
რომელთაგან პირველს დაუნიშნავს სამი
კაცისაგან შემდგარი კომისია და ამ უკანას-
კნელს გამოურკვევია გამყრელიძის საქმე,
და მეორეს კი ჰქონია კონტაქტი გამყრე-
ლიძესთან, როდესაც ეს ყოფილა დაკავში-
რებული გ.პ.უ-სთან. უეჭველია, რომ „პოს.
ნოვ.“-ის აქვს მიღებული მისთვის საჭირო
ცნობები ან ამ ორგანიზაციებისაგან, ან მათ
წევრებისაგან, ან კიდევ ისეთ პირთაგან,
რომლებიც დასახელებულ ორგანიზაციებს
უფროსობენ. უფრო გარკვეულ პასუხს უნ-
და ველოდეთ კოლონიის მიერ დაარსებულ
საგამომძიებლო კომისიისაგან. მაგრამ წი-
ნასწარ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართვე-
ლი ემიგრაციის წინაშე წერილის პასუხის-
მგებელია არა მარტო გამყრელიძე, არამედ
და გაცილებით მეტად, ვიდრე ეს ვაუბატო-
ნი, ის ხალხი, ვინც წერილის შინაარს აკ-
ცეპტი გაუკეთა და ამით შესაძლოდ გახდა
მისი გამოქვეყნება.

წერილს გამყრელიძე იწყებს 1931 წლის
ივლისიდან, როდესაც ის პარიზში ჩამო-
სულა და უსახსრობის გამო ბ. სიმონიანის

რესტორანში მოსამსახურედ დამდგარა. ამ
რესტორანში თურმე დადიოდა და „იპყ-
რობდა ყურადღებას ერთი ძალიან კარგად
ჩაცმული ადამიანი, ალბად უცხოელი“...
რომელიც „ერთხელ როგორღაც გამომე-
ლაპარაკა“-ო... და სხვა. საჭიროა ამ ციტა-
ტას დაუეკვირდეთ და აი რატომ. გამყრე-
ლიძე არ ამბობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ
ის მუშაობდა ამ რესტორანში „სულ სამი-
ოთხი დღე“, — ასე ამბობენ თვით რესტო-
რანის პატრონი ბ-ნი სიმონიანი და მისი
მოსამსახურენი, და ამ ხნის განმავლობაში
იყო მიგვრილი სამზარეულოში უბრალო
ბიჭის სამუშაოს ასასრულებლად: სთლიდა
კართოფილს, რეცხდა წვანისს და სხ. „მა-
გრამ მალე შევატყვე, რომ ეს ოხერი რამ
იყო და გავადეო“, დასძენს იგივე სიმონი-
ანი.

წერილში არ არის ახსნილი, თუ როგორ
მოხდა და ამ სამზარეულოში მომუშავე,
ხელე-დაკაბიწებულ და გაქონილ ადამი-
ანს, თანაც ისეთ მოკლე ხანში, როგორიც
არის სამი დღე, შეხვდა და გაეცნო „ელე-
განტურად ჩაცმული ადამიანი“, რომელიც
უნდა ვიფიქროთ, სამზარეულოში, აბა, რი-
სთვის შეიჭრებოდა. აქ უტყბედობის ელე-
მენტის დაშვება შეუძლებელია, — ძალიან
და ყოველნაირად არის დაშორებული ეს
ორი ადამიანი ერთი მეორეს. ამიტომ გვრ-
ჩება ორში ერთი: — ან ეს ამბავი მოგო-
ნილია გამყრელიძის მიერ ჩვენი უბადრუ-
კი „მშვერავების“ თვალსაზრევად, ან, თუ
მისი სიტყვები შეიცავენ სიმართლეს, ახსნა
უნდა ვეძებოთ იმ ხმებში, რომელიც გამ-
ყრელიძეს დაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი

ბ-ნი გამყრელიძე ჩამოსულია საქართვე-
ლოდან 1923-24 წლებში და ვიდრე პარი-
ზში ჩამოვიდოდა, ე. ი. 1931 წლის ივლი-
სამდე, მას მოვლილი ჰქონდა ბერლინი, მი-
უნჰენი, პრალა და კიდევ სხვა ქალაქები.
რა მიზნით, რა მიზეზების გამო? ყველამ
ხომ კარგად ვიცით, თუ როგორ ძნელი და
ძვირი არის არამც თუ ევროპაში სეირნო-
ბა, არამედ ერთი ქალაქიდან მეორეში გა-
დასვლა ერთ და იმავე სახელმწიფოს სა-
ზღვრებშიაც კი. ამ კითხვას უნდა დავუ-
მატოთ, რომ ყველგან სადაც კი ეს ადამი-
ნი გამოჩნდებოდა, მას თან დაჰყვებოდა
ბოლშევიკების ჯაშუშის სახელი, და ზოგ
ალაგას, მაგ. პრალაში, ჯაშუშის სახელს
დაემატა „მოშენიკის“ სახელიც. სათანადო
ბრალდება მისთვის მრავალჯერ წაუყენე-
ბიათ პირში, მაგრამ არ ყოფილა შემთხვე-
ვა მრავალი წლის განმავლობაში, რომ მას
მოეთხოვოს რაიმე სახით პასუხისგება ბრა-
ლმდებელთაგან. საქმე იქამდე მივიდა, რომ
იმ პოლიტიკური ჯგუფის შეფს, რომელ-
შიაც შევიდა გამყრელიძე პარიზში, დაწე-
რილებით შეატყობინეს ბერლინიდან ეს ამ-
ბები, რათა მას საჭირო ნაბიჯები გადაედ-
ვა, მაგრამ ამას შედეგი არაფერი მოჰყვა.
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ,
რომ ეს ცნობები და ბრალდებანი შეიცავე-
დნენ სიმართლეს, ჩვენ შეგვიძლია მივხე-
დეთ, თუ რატომ „ელეგანტურად ჩაცმულ-
მა“ გოლცმიანი, თურმე ბოლშევიკების
აგენტი, გვერდი აუარა რესტორანში მყოფ
მრავალ ხალხს და მოძებნა სამზარეულო-
ში შეკუჭნული გამყრელიძე.

განხეთქილება და ირწმუნება, რომ ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა მის ხაზს იზიარებს.

„მხედარი“, ქართველ მხედართა ორგანო, რვეული მე-16.

უკვე რამოდენიმე წელიწადია, რაც „მხედარი“ გამოდის. რაც დრო ვადის, იგი უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ახალგაზრდა შევირდები პირველი ქართული სამხედრო სკოლისა — ძმები კოჯორსა და ტაბახმელაზე მათთავე გერდით სახელოვანად დახოცილი იუნკრებისა — რომელთაც ეს კრებული აქ დააარსეს, სიანს უკვე დაიზარდნენ, სამხედრო აზროვნებასა და ხელოვნებაში გამოიკადნენ და მომწიფდნენ. არაერთი და ორი წერილი, ნაყოფი მათი კალა-

მისა, იზიდავს განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული სამხედრო წარსულის სწორი გაგებითა და ღონიერი აზროვნებით. შევირდების ნაწერის გვერდით თქვენ შეხედებით მათი აღმზრდელების წერილებსაც, სადაც მოსიანს უფრო დაღუღებული ხასიათი და ცხადი გონება. საქმარისია მარტო კრებულის გადაფურცვლა, რომ იგრძნოთ დისციპლინის სული და ენერჯის სიუხვე, მამულის სიყვარული და თავგანწირვის გარდაწყვეტილება. ამ თვისებებმა შეჰქმნეს და შეინახეს სამშობლო. ამავე თვისებებმა უნდა განამტკიცონ მისი მომავალიც. უზრუნალი „მხედარი“ იღწვის სწორედ ამ თვისებების დასამყენლად და აკეთებს დიდ პატრიოტულ საქმეს.

ზოგი რამ საქართველოს ამბებიდან

ვასული წლის შემოდგომაზე ანაზღვეულად სახალხო ყრილობები მომხდარა სამეგრელოსა და სამურზაყანოში. ყრილობებს ქართული საზოგადოება დასწრებია — კაცი და ქალი. დიდი და პატარა. შეკრებილები ახდლიად აცხადებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას და ჩიოდნენ თავიანთ გაჭირვებაზე. არავის წინააღმდეგ რეპრესიული ზომები არ მიუღიათ.

სამურზაყანოში კომუნისტურ ხელისუფლებას ხალხის ყრილობა მოუწვევია და შეკრებილებსაგან მოუთხოვნია იმ ემუხვარების გაცემა, რომლებიც ბოლშევიკების შემოსვლის დღიდან ტყეში არიან ვასული და კომუნისტურ ხელისუფლებას არ მორჩილობენ. ხალხს უპასუხნია, რომ იგი ამ საქ-

მეში ვერ გაერეოდა. „მძიმე რეჟიმით დასჯილმა ხალხმა აბა რა შევლა უნდა მოგცეთ. ამ საქმეს თვითონ მთავრობამ მოუაროს“-ო.

საერთოდ ძველი ტერორისტული შიშინობა განელეულია. ყოველგან, სადაც ქართველი კომუნისტური ხელისუფლებაა, იქ თურმე მეტი სიწყინარება და მშვიდობიანი ურთიერთობა, ხოლო ერთმანეთში ვერ რიდება ქართველი მოსახლეობა და სომხურ-რუსული კომუნისტური უფროსობა.

ხშირია უსიამოვნება და შეტაკება ეროვნული თავმოყვარეობის ნიადაგზე ქართველ კომუნისტებსა და რუს - სომხის კომუნისტებს შორის.

„გოლცმაიერის ცნობისმოყვარეობა იზრდებოდა გეომეტრიული პროგრესით. როდესაც მან მოითხოვა გვეცნობებია მისთვის ადრესები და „იავკები“ ფარულ ორგანიზაციათა ტფილისში, ჩვენთვის (გამყრელიძისა და ოდიშარისათვის. კ—ი) უკვე აღარ იყო საეჭვო, რომ საქმე გვექონდა ბოლშევიკების აგენტთან, რომელიც თავის ვინაობას და თავს „პიტლერის კაცად“ გვაჩვენებდა... „ოდიშარიამ და მე გადავეციეთ მას მოგონილი სახელებისა და ადრესების რიგი“...

წერილიდან სიანს, რომ ყოველგვ ეს მომხდარა ნაცნობობის პირველ ხანებში, ე. ი. 1931 წლის ზაფხულის ბოლოში და შემოდგომის დასაწყისში. კავშირი კი ჯერ გოლცმაიერთან და შემდეგ დამატებითად ბოლშევიკების საელჩოს „მეორე მდივანთან“ დემიდოვთან — (აქ უნდა აღვნიშნოთ უცნაური შეცდომა: დემიდოვი იყო ბოლშევიკების საელჩოს ატაშე და არა მეორე მდივანი) — გამყრელიძეს და ოდიშარისა ჰქონდათ 1932 წლის ბოლომდე. იბადება საკითხი: — როგორ მოხდა, რომ გოლცმაიერმა და დემიდოვმა თითქმის წლინახევრის განმავლობაში ვერ გამოარკვეეს სიყალბე გამყრელიძე-ოდიშარისაგან მიღებული მასალისა!

ეს, რასაკვირველია, შეუძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უბრალო ფოსტაც კი პარიზსა და მოსკოვ-ტფილისს შორის მიდი-მოდის სულ ოციოდე დღის განმავლობაში. გერჩება ერთი: უნდა ვიფიქროთ, რომ გამყრელიძე და ოდიშარია აძლევდნენ დემიდოვს მთელი წლინახევარის განმავლობაში სწორსა და მისთვის საჭირო ცნობებს.

მოყვანილი მოსაზრების გარდა ასეთ დასკვნას გვიკარნახებს აი კიდევ რა: — გამყრელიძე გვეუბნება: „დემიდოვი პირადათ ხვდება მთავარ აგენტებს, ხოლო მეორეხარისხოვან აგენტებთან კავშირი უკავია მის უახლოეს თანაშემწეს და მარჯვენა ხელს, სომეხ პოლოსოვს, რომელიც აგრეთვე მსახურობს საელჩოში“-ო... გამყრელიძე კი მუდამ ხვდება დემიდოვს, როგორც საელ-

ჩოში, ისე კავებშიაც. მაშასადამე, ის ყოფილა „მთავარი აგენტი“ და სანდო კაცი, რომელთან შეხვედრას დემიდოვი არსად არ ერიდებოდა. ცხადია, რომ ასეთი დაფასება და მდგომარეობა გამყრელიძეს უნდა დაემსახურებინა, ამისათვის კი საჭირო იყო არა ყალბი, არამედ სწორი ცნობების მიწოდება და სარგებლობის მიტანა.

კიდევ ერთი რამ. სულ მოკლე ხნის გარდა, გამყრელიძე ეწეოდა პარიზში რანტიეს ცხოვრებას, — არსად მუშაობდა და ფულს კი ხელგაშლილად ხარჯავდა. რომ ფულს ბოლშევიკებისაგან იღებდა, ამას ის აღარ მალავდა ბერლინში გაქცევის წინა ხანებში და არ უარჰყოფს დღესაც. და ნუ თუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დემიდოვი აძლევდა მას ფულს, და თანაც ბლომად, დიდი ხნის განმავლობაში, და სჯერდებოდა ყალბ ცნობებს? ეს, რასაკვირველია, წარმოუდგენელია!

„მე მქონდა მონდობილი მეხმარა ყოველ გვარი საშუალება და ხელახლა გამეჩაღებია მტრობა ს.დ. და ნ.დ. შორის. მე უნდა გადამეცა საერთო ფრონტის ერთ ოპოზიციურ ჯგუფისათვის ფული ბეჭდვითი ორგანოს გამოსაცემად, მაგრამ ისე, რასაკვირველია, რომ ამ ჯგუფის მონაწილენი არ მიმხედარიყვენ, თუ საიდან მოდიოდათ სუბსიდი“-ო.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკი არის ნ.დ. პარტიის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც დარაზმულია პარტიის ლიდერის ბ-ნ ს. კედისა მეთაურობის ქვეშ და მართლაც ოპოზიციას უწევს ეგრეთ წოდებულ „საერთო ფრონტს“. მაგრამ რად დასჭირდა მას — დემიდოვს — მარჯვენა ყურის მარცხენა ხელით ძებნა, რად დასჭირდა მას გამყრელიძე, „ფრონტის“ კაცი, კედისათვის ფულის გადასაცემად, როდესაც, თანახმად გამყრელიძისავე განცხადებისა, მის, დემიდოვის, განკარგულებაში იყო გველია, ერთი მხრივ ბ-ნ ს. კედისა ახალგაზრდა თანამშრომელი და მეორე მხრით მისივე, დემიდოვის, აგენტი?

და კიდევ: — აბა როგორ უნდა მიეღო ფული ოპოზიციონერ ს. კედისა პოზიციონერ გამყრელიძისაგან საოპოზიციო ორ-

განოს გამოსაცემად? თანაც გამყრელიძე ხომ „პლანეიორი“ იყო, ე. ი. უსახსრო ადამიანი? ნუ თუ ს. კედისა არ დაებადებოდა ეჭვები: რატომ და რა წყაროდანა?

ამ მოსაზრებებს უნდა დავუმატოთ, რომ ბ-ნმა კედამ არამც თუ იცოდა ყველა ის ხმები გამყრელიძის შესახებ, რომელიც ზემოდ არის მოყვანილი, არამედ იცოდა ისიც, რომ ერთმა მისმა ახალგაზრდა თანამშრომელმა, ბ-ნმა ცომიამ, თანახმად ორგანიზაციაში დაგროვილი ინფორმაციისა, პირველმა საჯაროდ უწოდა გამყრელიძეს ჯამუშის სახელი და სწორედ აქედან დაიწყო ამ ვაჰბატონის გამომწვეურება.

ესლა წარმოვიდგინოთ, რომ გამყრელიძეს მხედველობაში ჰყავს არა ბ-ნი კედია და მის გარშემო დარაზმული ნ.-დ. პარტიის დიდი ნაწილი, არამედ ს.-დ.-იული ოპოზიციისა. — სხვა ოპოზიციის არ არსებობს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ს.-დ.-იულ „ცენტრის“ შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობენ ბ-ნი შ. აბდუშელი და ვ. ნოზაძე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ორი წევრი ამ ჯგუფისა, რომელთაგან ერთი ხელმძღვანელია, თანახმად წერილის წინასწარ დაყრილი ხმებისა, თვით არიან „დემიდოვის აგენტები“. მაშ რად დასჭირდა დემიდოვს მათთვის ფულის გადასაცემად შუა კაცი?

ნათქვამიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: — ეს ადგილი გამყრელიძის წერილისა არის სავსებით მოგონილი, და იმ მოსაზრებით, რომ შიგ ჩართულ შხამს ვნება მიეყენებინა საზოგადოების თვალში ს. კედისა და „ცენტრის“ ჯგუფისათვის. შეუძლებელია თვით გამყრელიძეს ჰქონოდა ასეთი მიზანი, როგორც უსარგებლო რამ პირადათ მის ინტერესებისათვის. მაშ ვისთვის იყო საჭირო ოპოზიციის ვნება? ვფიქრობ, რომ ამ კითხვას ადვილად გასცემს პასუხს ყოველი ჩვენ ცხოვრებაში ჩახედული და ქართულ „მმართველ წრეთა“ ზნეჩვეულებას გაცნობილი ადამიანი.

„მე მაგალითად დანამდვილებით ვიცი, რომ ნ.-დ. ერთი ჯგუფის (ს. კედისა) მთელი მიწერმოწერა ძალიან მოკლე ხანში იციან გრენელის ქუჩაზე. მე ჩემი საკუთარი თვალით ვნახე დემიდოვთან ამ ჯგუფის კონფერენციის ოქმები“-ო. ...

ეს განცხადება აშკარა და გარკვეულია. მაგრამ გამყრელიძის უბედურება არის ერთი პატარა რამ: — ნ.-დ.-იული პარტიის კონფერენცია იყო ნავარაუდები თავის დროზე, მაგრამ, უსახსრობის გამო, ვეღარ მოეწყო და, მაშასადამე, არ მომხდარი კონფერენციის ოქმების ნახვა არც დემიდოვთან და არც ვინმე სხვასთან, არც გამყრელიძეს და არც ვინმე სხვას, რასაკვირველია, არ შეეძლო.

„ჯგუფი; (ლაპარაკია ბ-ნ კედისა ჯგუფზე. კ—ი.) მოტყუებული ყალბი ინფორმაციით (ვის მიერ? კ—ი.) საჯაროდ გამოვიდა ყალბი ჩერვონცების გამსაღებლის ქარუმიძის (საქმე ერისთავისა, ჩოლოყაშვილის და სხვათა) და ნოე რამიშვილის მკვლელის ჭანუყვაძის დასაცავად, სთვლიდა რა რომ ორივენი მოქმედებდნენ პატრიოტული მოტივებით. მაგრამ ქარუმიძე გაიქცა აქედან ჯერ შვეიცარიაში და შემდეგ საბჭოთა რუსეთში, და ჭანუყვაძე კი იღებს საფრანგეთის ციხეში წერილებს კავკასიიდან საბჭოთა საკონსულოს საშუალებით თავის ნათესავებისაგან“...

ამ ციტატაში მოთავსებული ყოველი დებულება არის ყალბი, გარდა უკანასკნელისა, რომელიც ერთნაირად შესაძლებელია იყოს მართალიცა და ტყუილიც. მაგრამ დავუშვათ, რომ ჭანუყვაძე მართლაც იღებს წერილებს საქართველოდან ბოლშევიკების საკონსულოს საშუალებით. რა შუაშია აქ ბ-ნი პ. კედია და ან მის გარშემო დარაზმული ნ.-დ.-იული პარტია?

ყველა დანარჩენი დებულება, ვიმეორებ, არის მტკნარი სიცრუე. არასოდეს და არ-

სად ბ-ნი კედია ყალბი ჩერვონცების საქმეში ქარუმიძის დასაცავად არ გამოხსულა არც „საჯაროდ“, და არც კერძოდ; არსად და არასოდეს მას არ დაუცავს არც ნოე რამიშვილის მკვლელობა და არც მისი მკვლელი; და კიდევ: ქარუმიძე არ გაქცეულა საბჭოთა რუსეთში, არამედ სცხოვრობს გერმანიაში, ხოლო რაც შეეხება მის მონაწილეობას ჩერვონცების საქმეში, ბერლინის სასამართლომ იცნო, რომ ის ხელმძღვანელობდა ანტიბოლშევიკური პოლიტიკური მოტივებით და, რამდენათაც ვიცით, ვამართლა.

ასეთი სიცრუის კონსტატაციის შემდეგ განა შესაძლებელია მოყვანილ ციტატაში მოთავსებულ ცნობებს ვუწოდოთ სხვა რამე სახელი გარდა ცილისწამებისა?

„წერილის“ დასასრულში გამყრელიძე მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვედნენ ისა და ოდიშარია კაფე „პალე-როიალ“-ში დემიდოვს, გაუხსნეს თავიანთი ნამდვილი პირისახე და აეშალნენ. ეს ნაწილი წარმოადგენს უსაფუძვლო ფანტასტიკას და დაწერილია ისეთივე კილოთი, როგორითაც სწერენ პინკერტონის თავგადასავალს. ამიტომ მას არ შეეხებოთ.

დასასრულ საქორდ მიგვაჩინა დავსვათ ერთი კითხვა: — ვისთვის იყო სასარგებლო გამყრელიძის წერილის შეთხზვა და გამოქვეყნება? ცხადია, რომ თვით გამყრელიძისათვის ეს საქმე არანაირად არ იყო სახეირო, — დაბეჭდვისათანავე ის იძულებული გახდა თავისათვის ეშველა და პარიზიდან გაქცეულიყო ბერლინში, სადაც ძალიან მაგრად ჩასვეს ციხეში. ცხადია აგრეთვე, რომ ამ აღმავლოთებელი საქმის მოწყობაში ყოველივე ეჭვს გარეშე, არიან ისინი, ვისი დაშავებაც წერილის ავტორს უნდოდა, ე. ი. ოპოზიციონური ჯგუფები. ამ მოსაზრებათა შემდეგ საქორდ მიგვაჩინა მოვიყვანოთ შემდეგი ციტატა იმავე გამყრელიძის წერილიდან: —

„მათი ცდები (დემიდოვისა და მისი თანაშემწეებისა. კ—ი) მიმართული იყო განსაკუთრებით წინააღმდეგ მენშევიკებისა და პირადათ ნოე ჟორდანიასი, რომლის ავტორიტეტი და პოპულიარობა ურყევლად არის დარჩენილი ქართულ წრეებში“.

მთელი წერილის სივრცეზე ეს არის ერთად ერთი, თუმცა მოკლედ, მაგრამ მძლავრი ხოტბის ენით დაწერილი ადგილი, სადაც მოყვრის ხელით არის ამოქარგული „საერთო ფრონტის“ მთავარი გმირი. ამიტომ უნებლიედ იბადება ეჭვი, — იქნებ მთელი ეს „გამყრელიძიანა“ არის „აკიბოკებული“ ბ-ნ ჟორდანიას სადიდებლად და მისი „ფრონტის“ ოპოზიციის დასატუქსავად!

ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც ოპოზიციონური ჯგუფთა დაკებნა-ცილისწამებაში, ისე ჟორდანიას შექება-დიდებაში გამყრელიძეს ეკუთვნის მხოლოდ მესაზანდრის როლი; „ლექსების“ მთხველი „პოეტები“ კი არიან სხვანი, მაგრამ ამათ შესახებ ჯერ არაფერს ვიტყით. — დავუცადოთ საგამომძიებლო კომისიის მუშაობის შედეგებს.

კალამი

ახლო მომავალში გამოიცემა „კავკასიონი“ წიგნი მეცხრე

Le gérant: L. Saint-Rémy. Imprimerie Pascal, 13, rue Pascal.